ანალიტიკური წერა (AW1)

B ტიპის ტესტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევების შემცირების მიზნით მერიამ გადაწყვიტა გარკვეული ღონისძიებების ჩატარება. მერიის პროექტის ფარგლებში ბავშვთა უფლებების დამცავმა ორგანიზაციამ ერთ-ერთი უბნის რამდენიმე სკოლაში ჩაატარა ტრენინგები, რომელთა მიზანი იყო მოზარდებისათვის ქუჩაში მოძრაობის წესების გაცნობა.

ერთი თვის შემდეგ ჩატარებული დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ უბანში მოზარდთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევათა რიცხვი აღემატება მოზარდთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევათა რაოდენობას მეზობელ უბანში, სადაც ტრენინგი არ ჩატარებულა.

შესაბამისად, მერიამ გადაწყვიტა, რომ მოძრაობის წესების დარღვევის შემცირებისათვის ტრენინგი არაეფექტური საშუალებაა და ეს პროექტი შეაჩერა.

კრიტიკულად შეაფასეთ მერიის გადაწყვეტილება; გააანალიზეთ, რა დამატებითი ინფორმაციაა საჭირო ამ გადაწყვეტილების შესაფასებლად.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

ქალთა აქტიური მონაწილეობა პოლიტიკაში დადებითად აისახება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, ამიტომ საჭიროა ქალებისათვის კვოტების დაწესება პარლამენტში.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.